შეთანხმების სავალდებულო ხასიათის გათვალისწინებით, გთხოვთ, წაიკითხოთ დაკვირვებით

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს არის სავალდებულო ხასიათის მქონე შეთანხმება საქართველოს ეროვნულ ბანკსა (შემდგომში – ეროვნული ბანკი) და ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმის ვებგვერდზე განთავსებული ინტერნეტ მაღაზიის (შემდგომში - ინტერნეტ მაღაზია) მომხმარებელს (შემდგომში – მომხმარებელი) შორის. ამ შეთანხმებაში მოცემული პირობების შესაბამისად, ეროვნული ბანკი ახორციელებს მომხმარებლისათვის მის მიერ ინტერნეტ მაღაზიით შეძენილი პროდუქციის მიწოდებას.
2. ეროვნული ბანკის მიერ პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებით მის ოფიციალურ და ფულის მუზეუმის ვებგვერდებზე (შემდგომში - ვებგვერდი) განთავსებული ნებისმიერი განცხადება ითვლება ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილად.
3. ღილაკზე „ვეთანხმები“ დაჭერით მომხმარებელი გამოხატავს თანხმობას ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ პირობებზე.
4. აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე, ეროვნული ბანკი ვალდებულია, მომხმარებელს საკუთრებაში გადასცეს მის მიერ შეძენილი პროდუქცია, ხოლო მომხმარებელი ვალდებულია, სრულად გადაიხადოს შეკვეთის ფასი და მიიღოს ეს პროდუქცია ამ შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით.
5. ინტერნეტ მაღაზიის საშუალებით შეკვეთის განხორციელებისას მომხმარებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ინტერნეტ მაღაზიაში განთავსებული ვიზუალური მასალა არის მხოლოდ საინფორმაციო ხასიათის და მიწოდებული პროდუქციის ფერი ან/და დიზაინი შესაძლოა არ იყოს ციფრულად წარმოდგენილი ვერსიების იდენტური.

მუხლი 2. ანგარიშსწორების პირობები

1. ინტერნეტ მაღაზიაში პროდუქციის ფასი მოცემულია ეროვნულ ვალუტაში და ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს ლარით.
2. ეროვნული ბანკი იტოვებს პროდუქციის ფასის ცვლილების უფლებას. ფასის ცვლილება არ შეეხება იმ პროდუქციას, რომელზეც ეროვნულ ბანკს ამ შეთანხმების მიხედვით უკვე მიღებული აქვს შეკვეთა.
3. შეკვეთის ფასი მოიცავს შეძენილი პროდუქციის ღირებულებას, გადაზიდვისა და დაზღვევის საფასურებს.
4. მომხმარებელი ინტერნეტ მაღაზიაში განთავსებული შეკვეთის ფასს იხდის საგადახდო ბარათის გამოყენებით.
5. ინტერნეტ მაღაზიაში განთავსებული შეკვეთის ფასის გადასახდელად გამოყენებულ უნდა იქნას Visa, Mastercard და American Express სისტემების ბარათები.
6. გადახდის უსაფრთხოება დაცულია „Verified by Viza“, „Mastercard Secure Code“ და „American Express safe key“ ტექნოლოგიების გამოყენებით.
7. დაუშვებელია პროდუქციის შეძენისას სხვისი საგადახდო ბარათით სარგებლობა. ეროვნული ბანკი არ არის პასუხისმგებელი სხვისი საგადახდო ბარათის უნებართვო,

უკანონო ან/და თაღლითური გამოყენების შემთხვევით დამდგარი ან/და გამოწვეული ზიანისთვის.

მუხლი 3. შეკვეთის განთავსებისა და მიწოდების პირობები

1. მომხმარებლის მიერ განთავსებული ცალკეული შეკვეთის საერთო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 5 000 ლარს.
2. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, დააწესოს შეზღუდვა შესაკვეთი პროდუქციის რაოდენობასთან დაკავშირებით.
3. ეროვნული ბანკი იტოვებს უფლებას, უარი განაცხადოს განთავსებული შეკვეთების შესრულებაზე მომხმარებლისათვის ყოველგვარი ახსნა-განმარტების მიცემის გარეშე. აღნიშნულის შესახებ მომხმარებელს ეცნობება შეკვეთის გაუქმებამდე, მომხმარებლის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
4. მომხმარებელს შეუძლია, მის მიერ ვებგვერდზე განთავსებული შეკვეთის სტატუსებს თვალი ადევნოს ვებგვერდზე არსებულ მის პირად გვერდზე.
5. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ შეარჩიოს პროდუქციის გადამზიდავი კომპანია და შეფუთვის ფორმა.
6. პროდუქციის მიწოდება ხორციელდება საქართველოს მასშტაბით (მხოლოდ ვებგვერდზე მითითებულ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში), მომხმარებლის მიერ შეკვეთის განთავსებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. ახალ პროდუქციასთან დაკავშირებით გაზრდილი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, შეკვეთის მიწოდების ვადა შესაძლოა გაიზარდოს, რის შესახებაც ინფორმაცია განთავსდება ვებგვერდზე.
7. შეკვეთილი პროდუქციის სასწრაფო გზავნილის მომსახურებით სარგებლობა შესაძლებელია ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით დღის 12:00 საათამდე. ამ შემთხვევაში გზავნილის მიწოდება მოხდება იმავე დღეს.
8. ეროვნული ბანკი იტოვებს უფლებას წინასწარი გაფრთხილების გარეშე დროებით შეაჩეროს სასწრაფო გზავნილის მომსახურებით სარგებლობა, რის შესახებაც ინფორმაცია განთავსდება ვებგვერდზე. აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება იმ მომენტისათვის უკვე განთავსებულ შეკვეთებს.
9. შეკვეთის განთავსების შემდგომ გადამზიდავი კომპანია წინასწარ უკავშირდება მომხმარებელს შეკვეთაში მითითებულ საკონტაქტო ნომერზე და აცნობებს პროდუქციის მიწოდების კონკრეტულ დროს, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ამ შეთანხმებით დადგენილ ვადებს. პროდუქციის მიწოდება ხორციელდება მხოლოდ მომხმარებლის მიერ პროდუქციის შეკვეთის განხორციელებისას მითითებულ მისამართზე.
10. თუ გადამზიდავი კომპანიის მიერ შეუძლებელია პროდუქციის დროულად მიწოდება, იგი აღნიშნული ფაქტის შესახებ აცნობებს ეროვნულ ბანკსა და მომხმარებელს.
11. გადამზიდავი კომპანია პროდუქციას დალუქული ფორმით აბარებს მომხმარებელს, ხოლო მომხმარებლის მისამართზე არყოფნის შემთხვევაში, პროდუქციის ჩაბარება შესაძლებელია, გადამზიდავი კომპანიის წარმომადგენლის მიერ მომხმარებელთან სატელეფონო კომუნიკაციისა და შეთანხმების საფუძველზე, იმავე მისამართზე მყოფი სხვა პირისათვის (შემდგომში ერთობლივად - მიმღები პირი).
12. მიმღებმა პირმა, გადამზიდავი კომპანიისგან პროდუქციის მისაღებად, თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, პროდუქცია არ გაიცემა და შეკვეთა გაუქმდება.
13. მიმღები პირი, გადამზიდავი კომპანიის წარმომადგენლის თანდასწრებით, ახორციელებს დალუქული გზავნილის გახსნას, პროდუქციის ვიზუალურ დათვალიერებას, პროდუქციის სახეობისა და რაოდენობის გადამოწმებას, კაფსულის ან/და ბლისტერის გახსნის/დაზიანების გარეშე.

14. თუ მიმღები პირი გადამზიდავი კომპანიის წარმომადგენლისგან პროდუქციას ჩაიბარებს ვიზუალური დათვალიერების გარეშე და გადაცემის მომენტში პრეტენზიას არ გამოთქვამს პროდუქციის დაზიანების შესახებ, მაშინ ითვლება, რომ მიმღებმა პირმა პროდუქცია მიიღო უნაკლოდ, შეთანხმებული პირობებით.

15. მიმღები პირის მიერ ელექტრონული ხელმოწერის დაფაზე, პროდუქციის ჩაბარების ხელმოწერით დადასტურების შემდეგ, მომხმარებელზე გადადის პროდუქციის ან/და მისი შეფუთვის შემთხვევითი განადგურების ან დაზიანების რისკი და მასთან დაკავშირებით პრეტენზიები აღარ მიიღება.

16. მიმღები პირის მიერ პროდუქციის ჩაბარების შემდგომ, ეროვნული ბანკი არ არის პასუხისმგებელი იმ ზიანისთვის, რაც შესაძლოა გამოწვეული ან დაკავშირებული იყოს პროდუქციის ბუნებრივ და თვისობრივად მახასიათებელ ცვეთასთან, ფერის შეცვლასთან, მომხმარებლის მიერ არასწორი მოპყრობით გამოწვეულ დაზიანებასთან.

17. თუ მიმღები პირი არ მიიღებს პროდუქციას, იგი ვალდებულია, პროდუქციის მიუღებლობის მიზეზი აღნიშნოს ელექტრონული ხელმოწერის დაფაზე, რაც უნდა დაადასტუროს ხელმოწერით.

18. ეროვნული ბანკი არ განიხილავს მიმღები პირის მიერ პროდუქციის დიზაინისა და სხვა მახასიათებლების შესახებ არაზუსტი წარმოდგენის მიზეზით გამოთქმულ პრეტენზიებს.

19. მიმღები პირის მიერ პროდუქციის გარეგნული დაზიანების გამო მიუღებლობის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი თავად შეამოწმებს დაბრუნებულ პროდუქციას, რის შესახებაც შედგება დასკვნა, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების შესახებ მომხმარებლის ინფორმირება ხორციელდება პროდუქციის დაბრუნებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

20. იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ეროვნული ბანკი დაადასტურებს დაბრუნებული პროდუქციის ხარვეზს, მარაგში იმავე დასახელების პროდუქციის არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მომხმარებლისთვის მის მიწოდებას. ასეთ შემთხვევაში, მომხმარებელს არ დაეკისრება განმეორებით გადაზიდვასა და დაზღვევასთან დაკავშირებული ხარჯები;

ბ) ეროვნული ბანკი დაადასტურებს დაბრუნებული პროდუქციის ხარვეზს, თუმცა იმავე დასახელების პროდუქციის მარაგი ამოწურული იქნება, შეკვეთის ფასი, გადაზიდვასა და დაზღვევასთან დაკავშირებული ხარჯების ჩათვლით, სრულად დაუბრუნდება მომხმარებელს;

გ) ეროვნული ბანკი არ დაადასტურებს დაბრუნებული პროდუქციის ხარვეზს, მიმღებ პირს შესაძლებლობა ექნება, იგივე პროდუქცია გაიტანოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრიდან გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის მიწოდებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში. თუ მიმღები პირის მიერ პროდუქციის ეროვნული ბანკის საკასო ცენტრიდან გატანა არ მოხდა ამ ვადაში, შეკვეთა გაუქმდება.

21. მომხმარებელს არ წარმოეშობა უფლებები პროდუქციის ნაკლის გამო, თუ შეთანხმების დადების მომენტში მისთვის ცნობილი იყო აღნიშნულის შესახებ.

22. თუ, მომხმარებლის მიზეზით, დადგენილ ვადებში ვერ ხერხდება პროდუქციის ჩაბარება, კერძოდ, ვერ ხერხდება მომხმარებელთან დაკავშირება, მომხმარებლის მიერ შეკვეთისას არასწორი რეკვიზიტების, მისამართისა და საკონტაქტო ინფორმაციის მითითების, დასახელებულ მისამართზე არყოფნის, გადამზიდი კომპანიისა და ეროვნული ბანკის შეტყობინებებზე უპასუხოდ დატოვების ან/და სხვა გარემოებათა გამო, შეკვეთა გაუქმდება.

23. ამ შეთანხმებით განსაზღვრულ შემთხვევებში, როდესაც შეკვეთის გაუქმება ხდება მომხმარებლის მიზეზით, შეკვეთის გაუქმებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, მათ შორის, პროდუქციის გადაზიდვისა და დაზღვევის საფასურები ეკისრება მომხმარებელს. მომხმარებელს ეროვნული ბანკის სასარგებლოდ, ასევე, დაეკისრება ბანკის მომსახურების საკომისიო თანხის გადახდა. ბანკის მომსახურების საკომისიო თანხის ოდენობა დამოკიდებულია მომხმარებლის მიერ გადასახდელი თანხისა და შეკვეთისას ვებგვერდზე

ანგარიშსწორებისთვის გამოყენებული საგადახდო ბარათის ტიპზე. დარჩენილი თანხის დაბრუნება მოხდება იმავე საგადახდო ბარათზე საიდანაც განხორციელდა შეკვეთის ფასის გადახდა.

24. თუ გადამზიდავი კომპანიის მიერ პროდუქციის ადგილზე მიწოდება არ მოხდა დადგენილ ვადაში, მომხმარებელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულის თაობაზე ეროვნულ ბანკს. ამასთან, მომხმარებელი უფლებამოსილია, პროდუქციის მიწოდების დაგვიანების შემთხვევაში მოითხოვოს არსებული შეკვეთის გაუქმება და შეკვეთის ფასის შესაბამისი თანხის უკან დაბრუნება. ამ შემთხვევაში მომხმარებელს სრულად დაუბრუნდება თანხა იმავე საბარათე ანგარიშზე ჩარიცხვით, საიდანაც განხორციელდა შეკვეთის ფასის გადახდა.

მუხლი 4. მხარეთა ვალდებულებები

1. ამ შეთანხმების შესაბამისად ეროვნული ბანკი ვალდებულია:

ა) გადასცეს მომხმარებელს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო პროდუქცია;

ბ) გადასცეს მომხმარებელს პროდუქციის თანმდევი ყველა საბუთი;

გ) მისი მიზეზით შეთანხმების პირობების დარღვევის შემთხვევაში, უზრუნველყოს მომხმარებლისათვის თანხის დაბრუნება;

დ) დაიცვას მომხმარებლის პერსონალური მონაცემები კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ამ შეთანხმების შესაბამისად მომხმარებელი ვალდებულია:

ა) სრულად და სწორად შეავსოს ვებგვერდზე განთავსებული ველები. არასწორი მონაცემების მითითებით გამოწვეულ შედეგებზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება თავად მომხმარებელს;

ბ) შეკვეთილი პროდუქციის მისაღებად წარმოადგინოს ვალიდური საიდენტიფიკაციო დოკუმენტები. ყალბი დოკუმენტების წარმოდგენით გამოწვეულ შედეგებზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება თავად მომხმარებელს;

გ) ეროვნული ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდოს მას ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია ან/და დოკუმენტები, რომლებიც აუცილებელია ამ შეთანხმებით განსაზღვრული პირობების ჯეროვნად შესრულებისთვის;

დ) არ განახორციელოს ისეთი ქმედება რაც ზიანს მიაყენებს ვებგვერდს ან მასთან დაკავშირებულ მესამე მხარეს;

ე) ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ საკითხებზე ეროვნულ ბანკთან დასაკავშირებლად გამოიყენოს შემდეგი საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ: +995 32 2406 406; ელექტრონული ფოსტა: info@moneymuseum.nbg.gov.ge.

3. ამ შეთანხმების შესაბამისად, მომხმარებლთან შეთანხმებული სხვა პირისთვის პროდუქციის ჩაბარების შემთხვევაში, შეკვეთის მიღებასთან დაკავშირებულ პროცედურებზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომხმარებელს.

4. ეროვნულ ბანკს არ ეკისრება რაიმე სახის სხვა ვალდებულება ან პასუხისმგებლობა, მათ შორის, მომხმარებლის მიერ დაწუნებული პროდუქციის მიწოდების შედეგად დამდგარი პირდაპირი ან არაპირდაპირი ზიანისთვის, რაც მოიცავს მიუღებელ შემოსავალს და რეპუტაციულ ზიანს.

მუხლი 5. ფორსმაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ეს გამოწვეული იყო ისეთი ფორსმაჟორული მდგომარეობით, რომლის დროსაც მხარეთათვის მათი შესრულება შეუძლებელი გახდა. ფორსმაჟორში იგულისხმება ომი, სტიქიური უბედურება (მიწისძვრა,

წყალდიდობა, ხანძარი, მეწყერი), ეპიდემია, პანდემია და სხვა დაუძლეველი ვითარება. შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადები, შესაბამისად, გადაიწევს ფორსმაჟორული გარემოებების მოქმედების ვადის მიხედვით. მხარეები პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებიან მხოლოდ ფორსმაჟორული გარემოების არსებობის პერიოდში. ნაკისრი ვალდებულებები დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს ფორსმაჟორული გარემოებების მოქმედების შეწყვეტის შემდეგ.

მუხლი 6. შეთანხმების განახლება

1. ეროვნული ბანკი იტოვებს უფლებას განაახლოს პროდუქციის შეძენასთან დაკავშირებული არსებული წესები და პირობები მათი ვებგვერდზე განთავსების გზით.
2. ცვლილება არ შეეხება ეროვნული ბანკის მიერ უკვე მიღებულ შეკვეთებს.
3. მომხმარებელი შეცვლილ პირობებზე თანხმობას გამოხატავს ყოველი ახალი შეკვეთის განთავსებისას.

მუხლი 7. მომხმარებლის ინფორმირება მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით

1. მომხმარებლისთვის ცნობილია, ამავე შეთანხმების პირობების შესრულების, კერძოდ, პროდუქციის მიწოდების მიზნით, ეროვნული ბანკის მიერ, მისი პერსონალური მონაცემების (მათ შორის, სახელი, გვარი, პირადი ნომერი, პასპორტის ნომერი (სხვა ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში), საკონტაქტო ინფორმაცია, მისამართი, ხელმოწერა) დამუშავების თაობაზე.
2. პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძველია საქართველოს კანონმდებლობით ეროვნული ბანკისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულება, გარიგების დადება, მომხმარებელთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, ასევე, მისთვის მომსახურების გაწევა. ამასთან, ინფორმაციის (მონაცემების) მიწოდების გარეშე, ვერ მოხდება მომხმარებელთან გარიგების დადება და შესაბამისად, მომხმარებლის მიერ, პროდუქციის შეძენა.
3. მომხმარებლის პერსონალური მონაცემები მესამე პირებს შეიძლება გადაეცეთ მხოლოდ მომხმარებლის თანხმობით ან/და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სამართლებრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში.
4. მომხმარებლის პერსონალურ მონაცემებზე წვდომა შესაძლოა, მიეცეს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს - შპს „პროსერვისს“ (ს/კ: 204929168), რომელთანაც ეროვნულ ბანკს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული. მასთან დაკავშირებული ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: https://www.proservice.ge/
5. ამ შეთანხმებით განსაზღვრული მომხმარებლის ის პერსონალური მონაცემები, რომელიც აუცილებელია მომხმარებლის მიერ მითითებულ მისამართზე პროდუქციის მიტანისა და ჩაბარებისათვის, გადაეცემა გადამზიდავ (შპს „სკს“ ს/კ: 204885810, მის. ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №25, ტელ: 291 02 20) და სადაზღვევო (სს „სადაზღვევო კომპანია „ევროინს ჯორჯია“, ს/კ: 204491344, ქ. თბილისი, ილო მოსაშვილის ქ. №24, ტელ: 220 33 33) კომპანიებს.
6. პერსონალური მონაცემები შეინახება იმ ვადით, რომელიც აუცილებელია ეროვნული ბანკის მიერ კანონმდებლობითა და ამ შეთანხმებით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად და შესაბამისი მიზნის მისაღწევად.
7. მომხმარებლის პერსონალური მონაცემები მუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კანონიერად, სამართლიანად,

გამჭვირვალედ და ღირსების შეულახავად. მომხმარებელი ინფორმირებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის III თავით გარანტირებული უფლებების შესახებ, კერძოდ, არასრული, არაზუსტი, ან/და მცდარი მონაცემების გასწორების, განახლების, შევსების, დაბლოკვის, წაშლის ან განადგურების მოთხოვნის უფლების თაობაზე. მომხმარებელს უფლება აქვს იცოდეს, ვინ და რა სახის პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს მის შესახებ, რა მიზნით და საფუძვლით. მომხმარებელს ასევე უფლება აქვს მოითხოვოს საკუთარ პერსონალურ მონაცემებზე ყოველგვარი საფასურის გარეშე წვდომა ან უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები წერილობით (მისამართი: ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1) ან/და ელექტრონული ფორმით info@moneymuseum.nbg.gov.ge

8. მომხმარებლის ზემოაღნიშნული უფლებ(ებ)ი შეიძლება შეიზღუდოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე კანონიერი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში.

9. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით მომხმარებელს შეუძლია მიმართოს ეროვნული ბანკის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს, რომლის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.nbg.gov.ge).